სათემო მიწათსარგებლობა და ადგილობრივთა კოლექტიური უფლებები რესურსებზე

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში მზარდი სოციალური კონფლიქტების, უთანასწორობის, სიღარიბის, ბუნებრივი რესურსების მასობრივი ექსპლუატაციისა და მისი ვიწრო ჯგუფების ხელში კონცენტრირების ფონზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს განვითარების ისეთ მოდელებზე ფიქრი, რომელიც მიმართული იქნება საერთო სიკეთეების შექმნის, ჩაგრული ჯგუფების ინტერესების დაცვისა და სოციალური მშვიდობის მიღწევისკენ. ამ კონტექსტში, მიწით სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც მრავალი ადგილობრივი ჯგუფის თვითმყოფადი არსებობისა და გადარჩენის მთავარი წყარო, ცენტრალურ ადგილს იკავებს. მიწისა და მისი რესურსების ფლობის, მოხმარებისა და კონტროლის უსამართლო გადანაწილებასთან ბრძოლას გადამწყვეტი გავლენა აქვს უთანასწორობისა და სიღარიბის აღმოფხვრის გზაზე.[1]

მიწით სარგებლობა გულისხმობს წესების, ინსტიტუტების, უფლებებისა და ნორმების ერთობლიობას, რომლითაც რეგულირდება მიწის და მასთან დაკავშირებული რესურსების მოხმარება და კონტროლი.[2] ის სამართლებრივად ან ადათობრივად (ფორმალურად ან არაფორმალურად) შეიძლება იყოს განსაზღვრული.[3] მიწით სარგებლობის კატეგორიზება შეიძლება მოხდეს როგორც კერძო, სათემო, ღია წვდომისა და სახელმწიფო.[4]

სათემო მიწათსარგებლობა (communal land tenure) თავისი შინაარსით კოლექტიური ბუნებისაა, სადაც ადგილობრივი ჩვეულებებისა და პრაქტიკების გათვალისწინებით წინა პლანზეა წამოწეული კოლექტიური ინტერესები. ამასთან, ის, როგორც წესი, უფრო კომპლექსური, ინკლუზიური და სოციალურად ჩაჭედილი ფენომენია. ასეთ პირობებში, მიწის ფლობა და მოხმარება გადაჯაჭვულია სხვადასხვა ადამიანებისა და ჯგუფებისა

---

[1] Eduardo von Bennewitz, Land Tenure in Latin America: from Land Reforms to Counter-Movement to Neoliberalism, 2017, p. 1797, ხელმისაწვდომია: https://acta.mendelu.cz/65/5/1793/

[2] Indigenous peoples' collective rights to lands, territories and natural resources, Lessons from IFAD-supported projects, International Fund for Agricultural Development, 2018, p. 3, ხელმისაწვდომია: https://www.ifad.org/en/web/knowledge/publication/asset/40272596

[3] Land tenure and rural development, FAO, 2002, p. 7, ხელმისაწვდომია: http://www.fao.org/3/a-y4307e.pdf

[4] იქვე, p. 8.

ინტერესებთან და უფლებებთან კონკრეტულ არეალში მოთავსებულ მიწის რესურსებზე.[5]

ამგვარი პრაქტიკები, მიწის მფლობელობის სხვა რეჟიმებისგან განსხვავებით, ადგილობრივი პრაქტიკებიდან და ტრადიციებიდან მომდინარეობს და არა სახელმწიფოს ნორმატიული მოწესრიგებიდან.[6] ამის მიუხედავად, ეს პრაქტიკები მიწით სარგებლობის ისეთსავე მყარ სოციალურ სისტემას ქმნიან, როგორც ეს სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი გზებით ხორციელდება.[7] სწორედ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტერიტორიებითა და რესურსებით სარგებლობის ტრადიციული ფორმები ქმნიან ადგილობრივი თემებისა და მკვიდრი მოსახლეობებისთვის მიწის უფლებებით (land rights) სარგებლობის საფუძველს.[8]

ყველაზე ზოგადი დაყოფით, მიწაზე უფლებები მოიცავს ინდივიდებისა და ჯგუფების, ადგილობრივი თემებისა და მკვიდრი მოსახლეობების ჩათვლით, მიწაზე დაშვების, მისით სარგებლობის, მართვის, უფლებების გადაცემის (გასხვისება, იჯარა) და სხვების მიერ მისით სარგებლობისგან გამორიცხვის შესაძლებლობებს.[9] უმთავრესად, ეს უკანასკნელი ელემენტი განარჩევს სათემო მიწათსარგებლობას მიწაზე ღია წვდომისგან, სადაც მიწითა და მისი რესურსებით სარგებლობა ნებისმიერ ადამიანს ან ჯგუფს შეუძლია.[10] სათემო მიწათსარგებლობის კონტექსტში მიწაზე უფლებების კომპონენტები შესაძლოა განსხვავებული მნიშვნელობისა და დატვირთვის იყოს, ზოგიერთ მათგანთან მიმართებით კი სპეციფიკური რეჟიმები მოქმედებდეს.

წინამდებარე ტექსტი მიმოიხილავს საერთაშორისო და სახელმწიფოს შიდა დონეებზე სათემო მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული უფლებების კომპონენტებს და იმ მიდგომებს, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი აღიარება და დაცვა. მასში გაანალიზებულია სათემო მიწათსარგებლობის სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმები და მათი პოტენციური გავლენები ადგილობრივი თემის ინტერესებისა და უფლებების დაცვის კონტექსტში. ტექსტში წარმოდგენილი მსჯელობები არის მცდელობა, სათემო

---

[5] Michael Clark and Nolundi Luwaya, Communal Land Tenure 1994-2017: Commissioned Report for High Level Panel on the Assessment of Key Legislation and the Acceleration of Fundamental Change, an initiative of the Parliament of South Africa, 2017, p. 6, ხელმისაწვდომია: https://www.parliament.gov.za/storage/app/media/Pages/2017/october/High_Level_Panel/Commissioned_Report_land/Commisioned_Report_on_Tenure_Reform_LARC.pdf

[6] Liz Alden Wily, Customary Land Tenure in the Modern World Rights to Resources in Crisis: Reviewing the Fate of Customary Tenure in Africa - Brief #1 of 5, 2012, p. 1, ხელმისაწვდომია: https://dlc.dlib.indiana.edu/dlc/bitstream/handle/10535/7713/customary%20land%20tenure%20in%20the%20modern%20world.pdf?sequence=1

[7] იქვე.

[8] Indigenous peoples' collective rights to lands, territories and natural resources, Lessons from IFAD-supported projects, p. 4.

[9] იქვე.

[10] Land tenure and rural development, FAO, p. 8.

მიწათსარგებლობის აღიარებისა და დაცვის მნიშვნელობის წარმოჩენით ნათელი გახდეს მისი პრინციპული დაპირისპირება განვითარების იმ პარადიგმებთან, რომლებიც მიმართულნი არიან რესურსების მაქსიმალური ათვისების გზით გარემოსთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების, ადგილობრივი კულტურის, ცხოვრების წესისა და ტრადიციების გაქრობის, უთანასწორობის კვლავწარმოებისა და კერძო კაპიტალის ხელში რესურსებისა და ძალაუფლების თავმოყრისკენ.

ადგილობრივი თემის უფლებები მიწაზე საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით აღიარებულია ადგილობრივი ჯგუფების კოლექტიური ინტერესები და უფლებები მიწის რესურსების, მისი ფლობის, მართვისა და მოხმარების თაობაზე, რაც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო მიწებს, საძოვრებს, ტყეს, წყლის რეზერვუარებს, სათევზაო და საირიგაციო წყლის რესურსებს და სხვა.[11]

2018 წელს გაერომ მიიღო <u>დეკლარაცია „გლეხებისა და სასოფლო არეალებში მომუშავე სხვა ხალხების უფლებების შესახებ.“</u> დეკლარაციით დაცული სუბიექტების წრე საკმაოდ ფართოა და მოიცავს ნებისმიერ ჯგუფსა და თემს, რომლებიც ჩართულნი არიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, მესაქონლეობაში, მეთევზეობაში, ხე-ტყის მოხმარებაში ან მათთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობაში და მიწასთან განსაკუთრებული და მჭიდრო მიჯაჭვულობა ახასიათებთ, მათ შორის ადგილობრივ და მკვიდრ მოსახლეობებს.[12] დეკლარაცია ასევე ვრცელდება იმ დაქირავებულ მშრომელებზე, მიგრანტების ჩათვლით, რომლებიც ჩართულნი არიან სასოფლო-სამეურნეო და მასთან დაკავშირებულ საქმიანობაში.[13]

დეკლარაცია განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს თემის ინტერესებისა და უფლებების დაცვაზე, მიწის მფლობელობის და მისი რესურსებით სარგებლობის კონტექსტში.[14]

გლეხები და სხვა ჯგუფები დაცულნი უნდა იყვნენ საკუთარი მიწიდან და რესურსებით სარგებლობიდან იძულებითი აყრისგან და უნდა სარგებლობდნენ ღირსეული ცხოვრებისთვის საჭირო პირობებით.[15] მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მართონ მიწისა და წყლის რესურსები, საძოვრები და ხე-ტყე; ცხოვრობდნენ უსაფრთხოდ,

---

[11] Kirsten Ewers Andersen, Communal Tenure and the Governance of Common Property Resources in Asia, Lessons from Experiences in Selected Countries, FAO, 2011, p. 3, ხელმისაწვდომია: http://www.fao.org/3/am658e/am658e00.pdf

[12] United Nations Declaration on the Rights of Peasants and Other People Working in Rural Areas, 2018, art. 1, ხელმისაწვდომია: https://digitallibrary.un.org/record/1650694

[13] იქვე.

[14] იქვე,

[15] იქვე, art. 17, cl. 4.

მშვიდად და ღირსეულად, რათა განავითარონ საკუთარი კულტურა.[16] სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები მიწათსარგებლობის უფლების, მათ შორის იმ ტრადიციული, სათემო მიწათსარგებლობის სამართლებრივი აღიარებისთვის, რომელიც იმ მომენტისთვის შეიძლება არ იყოს კანონით დაცული.[17] სახელმწიფოებს მიწათსარგებლობის განსხვავებული მოდელებისა და სისტემების არა მხოლოდ აღიარების, არამედ დაცვის ვალდებულებაც აქვთ. ამ კონტექსტში, დეკლარაცია მიუთითებს მიწის გამოყენებისა და მართვის ტრადიციულ, კოლექტიურ ფორმებზე.[18] გლეხებსა და სხვა ჯგუფებს უფლება აქვთ დაიცვან და შეინარჩუნონ საკუთარი გარემო, ასევე იმ მიწისა და რესურსების პროდუქტიულობა და ნაყოფიერება, რომლებსაც ისინი მოიხმარენ.[19]

დეკლარაცია მიუთითებს იმ მინიმალური მოთხოვნების აუცილებელი შესრულების შესახებ, რომელიც სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან ადგილობრივი თემის მიერ ტრადიციულად მოხმარებადი რესურსების ექსპლუატაციისას, ესენია:

ა. სათანადო სოციალური და გარემოზე ზემოქმედების შეფასება;[20]

ბ. ადგილობრივებთან კეთილსინდისიერი კონსულტაცია მხარეებს შორის ძალაუფლებრივი დისბალანსის მხედველობაში მიღებით, და ეფექტიანი, თავისუფალი, არსებითი და სრული ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;[21]

გ. რესურსების ათვისების შედეგად მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანასწორი გადანაწილება ადგილობრივებსა და ექსპლუატაციის განმახორციელებელს შორის.[22]

დეკლარაცია აღიარებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობების ცხოვრების წესი და მიმართება ბუნებრივ რესურსებთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული მათ კულტურულ თავისებურებებთან. ამდენად, დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ადგილობრივებს უფლება აქვთ, საკუთარ კულტურულ თვითმყოფადობას და ცხოვრების წესს თავისუფლად, გარე ჩარევებისგან დამოუკიდებლად მიყვნენ;[23] შეინარჩუნონ, გამოხატონ, აკონტროლონ, დაიცვან და განავითარონ თავიანთი ტრადიციული და

[16] იქვე, cl. 1.
[17] იქვე, cl. 3.
[18] იქვე.
[19] იქვე, art. 18, cl. 1.
[20] იქვე, art. 5, cl. 2 (a).
[21] იქვე, art. 2, cl. 3; art. 5 cl. 2 (b).
[22] იქვე, art. 5, cl. 2 (c).
[23] იქვე, art. 26, cl. 1.

ადგილობრივი ცოდნა ცხოვრების წესის შესახებ, მათ შორის წარმოების ადგილობრივი ფორმები და მეთოდები.[24]

მართალია, დეკლარაციები არ არის შესასრულებლად სავალდებულო, თუმცა ისინი საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპების მანიფესტაციას წარმოადგენენ, აქვთ მორალური იძულების ფუნქცია და ამდენად, „არსებობს ძლიერი მოლოდინი, რომ საერთაშორისო საზოგადოების წევრები მისით შეიბოჭავენ თავს."[25]

<u>ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ გაეროს კონვენცია</u> (საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1994 წელს) აღიარებს, რომ ტრადიციული ცხოვრების წესის მატარებელი მრავალი თემი მჭიდროდაა დამოკიდებული ბიოლოგიურ რესურსებზე.[26] ამიტომ, საჭიროა, ისინი სამართლიან საფუძველზე, ერთობლივად სარგებლობდნენ იმ სიკეთით, რომელიც გამომდინარეობს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მისი თანაზომიერი გამოყენებისთვის აუცილებელი ტრადიციული ცოდნებიდან, პრაქტიკებიდან და მიგნებებიდან.[27] აღნიშნულის საფუძველზე, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ მკვიდრი და ადგილობრივი მოსახლეობების ტრადიციული ცხოვრების წესიდან მომდინარე ცოდნების, პრაქტიკებისა და მიგნებების პატივისცემა და დაცვა, რაც მნიშვნელოვანია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და თანაზომიერი გამოყენებისთვის.[28] მიუხედავად ამ კონვენციიდან გამომდინარე რიგი ვალდებულებების არსებობისა, სახელმწიფო ხშირად უგულებელყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს. მაგალითად, კონვენციის დებულებების დარღვევად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ საქართველოში სულ უფრო და უფრო უარესდება ადგილობრივი მოსახლეობების მიერ ტყის რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობები.[29]

ადგილობრივი თემის დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი დოკუმენტია გაეროს „სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის" სახელმძღვანელო <u>მიწის, სათევზაო არეალებისა და ტყეების პასუხისმგებლიანი სარგებლობის შესახებ.</u>[30] მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი არაა სავალდებულო, ის ქმნის მნიშვნელოვან და

---

[24] იქვე.

[25] General introduction to the standard-setting instruments of UNESCO, declarations, ხელმისაწვდომია: http://portal.unesco.org/en/ev.php-URL_ID=23772&URL_DO=DO_TOPIC&URL_SECTION=201.html

[26] CONVENTION ON BIOLOGICAL DIVERSITY, 1992, preamble, ხელმისაწვდომია: https://www.cbd.int/doc/legal/cbd-en.pdf

[27] იქვე.

[28] იქვე, art. 8 (j).

[29] იხ., „მწვანე ალტერნატივის" ანგარიში, *„ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ" კონვენცია, ინსტიტუციური მოწყობის და მონიტორინგისა და ანგარიშგების შესაძლებლობათა შეფასება,* თბილისი, 2016, გვ. 21, ხელმისაწვდომია: http://greenalt.org/wp-content/uploads/2016/05/CBD_GEO.pdf

[30] Voluntary Guidelines on the Responsible Governance of Tenure of Land, Fisheries and Forests in the Context of National Food Security, FAO, 2012, ხელმისაწვდომია: http://www.fao.org/3/a-i2801e.pdf

ღირებულ ჩარჩოს ადგილობრივი მოსახლეობების მიწაზე უფლებების დაცვისთვის. დოკუმენტში განცალკევებულად არის მიმოხილული რესურსებზე ტრადიციული მიწათსარგებლობის მქონე მკვიდრი და სხვა მოსახლეობების ინტერესები და უფლებები. დოკუმენტის მითითებით, სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებმა უნდა აღიარონ, რომ მიწას, სათევზაო არეალებს და ტყეებს აქვთ სოციალური, კულტურული, სულიერი, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და პოლიტიკური მნიშვნელობა ტრადიციული მიწათსარგებლობის სისტემების მქონე მკვიდრი და სხვა მოსახლეობებისთვის.[31] სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს და აღიაროს თემის უფლება, ლეგიტიმურად სარგებლობდეს წინაპრების მიწით, სადაც ისინი ცხოვრობენ[32] და ხელი შეუწყოს მიწით სარგებლობის ადგილობრივი მეთოდების განვითარებას.[33] ამისთვის, სახელმწიფოებმა უნდა შექმნან პოლიტიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული ჩარჩოები, რათა აღიარონ მკვიდრი და სხვა მოსახლეობების ტრადიციული მიწათსარგებლობის ფორმები.[34]

დოკუმენტი ყურადღებას უთმობს არაფორმალური მიწათსარგებლობის სისტემების დაცვის მნიშვნელობას, რომლის მიხედვითაც, სახელწიფოებმა იმავე ხარისხით უნდა დაიცვან არაფორმალური, ტრადიციული მიწათსარგებლობის ფორმები, როგორც ფორმალური, სამართლებრივად აღიარებული.[35] ამასთან, სახელმწიფოებმა უნდა იზრუნონ და შეიმუშაონ გზები ამ არაფორმალური სარგებლობის აღიარებისთვის, ადგილობრივების ჩართულობის საფუძველზე.[36] თუმცა, თუ სარგებლობის სამართლებრივად აღიარება კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლებელია, ეს არ უნდა გახდეს რაიმე უფლების უგულებელყოფის ან იძულებითი ჩარევების საფუძველი.[37]

ადგილობრივი და მკვიდრი მოსახლეობების ინტერესებსა და უფლებებს მიწის რესურსებზე, ასევე ეხმიანება გაეროს „მდგრადი განვითარების დღის წესრიგი 2030.“ კერძოდ, სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთ სტრატეგიად მიჩნეულია ღარიბი და მოწყვლადი ჯგუფების შესაძლებლობა, ფლობდნენ, მართავდნენ და აკონტროლებდნენ მიწასა და ბუნებრივ რესურსებს.[38] ეს ასახავს ადგილობრივი თემების მხრიდან

[31] Voluntary Guidelines on the Responsible Governance of Tenure of Land, Fisheries and Forests in the Context of National Food Security, 9.1.
[32] იქვე, 9.5.
[33] იქვე, 9.11.
[34] იქვე, 9.6.
[35] იქვე, 10.1.
[36] იქვე.
[37] იქვე, 10.6.
[38] Resolution adopted by the General Assembly on 25 September 2015, Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development, Goal 1. End poverty in all its forms everywhere, 1.2, ხელმისაწვდომია: https://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/70/1&Lang=E

რესურსების კოლექტიური სარგებლობის ინტერესებს.[39] ამ საკითხებზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადგილობრივების სრული და ეფექტიანი ჩართულობა.[40]

შიდა კანონმდებლობით სათემო მიწათსარგებლობის აღიარების გზები და მოდელები

იმ ვალდებულებებისა და საზოგადოდ მიღებული მიდგომების შესაბამისად, რომლებიც გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებიდან, არსებობს სხვადასხვა მეთოდები, რომლის მეშვეობითაც ადგილობრივი თემის მიწათსარგებლობის ინტერესები შეიძლება იყოს დაცული.

სათემო საკუთრება

სათემო საკუთრების აღიარება ერთ-ერთი გავრცელებული მიდგომაა. სახელმწიფო საკუთრების გარდა, ჩვეულებრივ ეს უფლება ხორციელდება ინდივიდების მიერ კერძოდ, ან გაერთიანებულად, სხვებთან ერთად. ამ უკანასკნელში, როგორც წესი, მოიაზრება კორპორაციების, კოოპერატივების, ასოციაციების ან თანასაკუთრების გზით განხორციელებული საკუთრების უფლება.[41] ხშირად, ამ განმარტების მიღმა ტოვებენ ოჯახის, გვარის, სოფლის ან თემის კოლექტიური საკუთრების უფლებას. არადა, სახელმწიფოთა დიდ ნაწილში ეს უკანასკნელი აღიარებულია. ბევრ ქვეყანაში, დეკოლექტივიზაციისა და პრივატიზაციის პროცესების მიუხედავად, კოლექტიური მიწათმფლობელობის ფორმები და იურისდიქცია საკუთრების სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტად რჩება.[42]

სახელმწიფოები, რომლებიც სათემო საკუთრებას სამართლებრივად აღიარებენ, ჩვეულებრივ მასში შემდეგ ელემენტებს გულისხმობენ:

ა. თემზე დაფუძნებული, კოლექტიური მიწათმფლობელობის აღიარება წარმოშობს საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ კანონიერ ინტერესებს;

ბ. სათემო და კერძო მიწებს განსხვავებული მახასიათებლები აქვთ, თუმცა თანაბარი დაცვის ხარისხით სარგებლობენ;

---

[39] Indigenous peoples' collective rights to lands, territories and natural resources Lessons from IFAD-supported projects, p. 6.

[40] იქვე.

[41] Liz Alden Wily, Collective Land Ownership in the 21st Century: Overview of Global Trends, 2018, p. 6, ხელმისაწვდომია: https://pdfs.semanticscholar.org/02a5/b3440c935920a3b7a516fce01788d142d3f6.pdf?_ga=2.183820262.1338705129.1564753923-1291188222.1564753923

[42] იქვე, pp. 6-7.

გ. აღიარება და დაცვა არ მოიცავს მხოლოდ ფერმებსა და საცხოვრებლებს. შესაბამის ტერიტორიაზე არსებული საძოვრები, ჭაობები და ტყე ასევე შეიძლება ჩაითვალოს სათემო საკუთრებად;

დ. სათემო მიწების ტრადიციული წესით რეგულირება ნებადართულია, თუმცა დიდწილად კანონმდებლობის დონეზე უნდა იყოს ფორმალიზებული;

ე. სათემო საკუთრების რეგისტრაციისთვის შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმები უნდა იყოს უზრუნველყოფილი;

ვ. სათემო საკუთრების სპეციფიკურ ნაწილებში ინდივიდებისა და ოჯახების ინტერესები აღიარებულია და მოწყობილია კოლექტიური მიწათსარგებლობის დამკვიდრებული უფლებებიდან გამომდინარე.[43]

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წყლის რესურსებთან მიმართებით საკუთრების უფლების აღიარება საკმაოდ პრობლემურია და სახელმწიფოები მას უმთავრესად არ ითვალისწინებენ.[44]

კოლექტიური საკუთრების სამართლებრივი განსაზღვრის და მისი დაფუძნებისთვის, ტრადიციული/ადათობრივი მიწათსარგებლობის ფორმები არა ერთადერთი, თუმცა მთავარი საფუძველია. კვლევაში, რომელიც ამ კონტექსტში მოიცავს მსოფლიოს 73 ქვეყანას, აღნიშნულია, რომ უმრავლესობაში (59 ქვეყანა) ტრადიციული მიწათსარგებლობა არის კოლექტიური საკუთრების სამართლებრივი განსაზღვრის ძირითადი წინაპირობა.[45] ამასთან, კანონები ჩვეულებრივ აღიარებენ ადათებისა და ადგილობრივი წეს-ჩვეულებების გამოყენების შესაძლებლობებს საკუთრების რეგულირებისთვის, გარკვეული შეზღუდვებით.[46] ტრადიციებსა და ჩვეულებებზე ხაზგასმა სათემო მიწათსარგებლობის კონტექსტში ყველაზე გავრცელებული მიდგომაა. მაგალითისთვის, ვიეტნამის მიწის კანონი მიუთითებს, რომ „ადგილობრივ თემებს გადაცემული აქვთ მიწები, ან სახელმწიფო აღიარებს მათ მიერ მიწით სარგებლობის უფლებებს, რათა დაცული იყოს ხალხის ტრადიციებითა და ჩვეულებებით განსაზღვრული იდენტობები.“[47]

---

[43] იქვე, p. 7.

[44] თუმცა არსებობს გამონაკლისებიც, მაგალითად, ნიკარაგუის მიწის კანონი სათემო საკუთრებას განსაზღვრავს როგორც „მიწებით, წყლით, ტყეებითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით შემდგარ ტერიტორიას, რომელიც ტრადიციულად თემს ეკუთვნოდა.“ ასევე, რუმინეთის წყლის კანონი აღიარებს კოლექტივებს, როგორც მდინარეებისა და ტბების მესაკუთრეებს განსაზღვრულ გარემოებებში. იქვე, p. 13.

[45] იქვე.

[46] იქვე, 14.

[47] იქვე.

საკუთრების უფლება თავისთავად მოიცავს გასხვისებისა და იჯარის უფლებასაც, თუმცა სათემო საკუთრებასთან მიმართებით საკითხი ბევრად კოპლექსურად დგას, რის გამოც სახელმწიფოები ხშირად ამ კომპონენტს არ აღიარებენ. სწორედ უფლებების გადაცემის კომპონენტია, რომელიც სათემო საკუთრებასთან მიმართებით ყველაზე ნაკლები დაცულობის ხარისხით ხასიათდება. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტყეს და წყლის რესურსებს, რომლებიც მიჩნეულია საჯარო სიკეთედ და მათ დაცვაზე სახელმწიფოს განსაკუთრებული ვალდებულებები აქვს.

სათემო საკუთრება, რომელიც თავისი ბუნებით კოლექტიურია და მისი დაცვა და აღიარება გამომდინარეობს ადგილობრივი თემის ცხოვრების წესის, იდენტობის, ტრადიციებისა და კულტურის პატივისცემიდან, წინააღმდეგობაში მოდის გასხვისების უფლებასთან. თანამედროვე ნეოლიბერალური წესრიგის, საკუთრების მასობრივი ინდივიდუალიზაციისა და პრივატიზაციის ფონზე, რომელიც მიისწრაფვის რესურსების მაქსიმალური ათვისებით კომერციული ინტერესების დაკმაყოფილებისკენ, სათემო საკუთრების იდეა შემოდის, როგორც ამგვარი ზეგავლენებისგან დაცვის მექანიზმი. გარდა ამისა, გასხვისების უფლების არსებობა ატარებს პოტენციურ რისკს, ნეგატიური გავლენა მოახდინოს რესურსების გადანაწილებაზე. ამ პირობებში, ღარიბ მოსახლეობას, რომელიც ბაზრის აქტორების პირისპირ აღმოჩნდება, დიდი ალბათობით უფრო მეტ დათმობაზე შეიძლება მოუწიოს წასვლა.[48] ამდენად, კონკრეტული სამართლებრივი რეჟიმის პირობებში სათემო საკუთრების გასხვისებისა თუ გადაცემის კომპონენტის ჩართვამ, შესაძლოა, დააჩქაროს ადგილობრივთა კავშირების გაწყვეტა მიწასთან და უფრო მეტიც, გახდეს მისი სრულად დაკარგვის საფუძველი.[49]

სათემო საკუთრების გაუსხვისებლობის დათქმა ხშირად განიხილება, როგორც თაობათაშორისი უფლება, რომელიც თემისა და მისი შთამომავლების ინტერესების დაცვისკენაა მიმართული. ეს დათქმა ასევე განიმარტება სათემო, ტრადიციული მიწათსარგებლობის მორალურ საფუძვლად, რამდენადაც ის „ეკუთვნის“ მკაფიოდ თვითიდენტიფიცირებულ ჯგუფს და არც ერთ ინდივიდს ან ინდივიდთა ჯგუფს არ აქვს მისი გაყიდვის უფლება.[50] თუმცა ისიც სათქმელია, რომ ამ საკითხზე საზოგადო თანხმობის მიუხედავად, არსებობს უამრავი მაგალითი, როცა ადგილობრივი მიწების გასხვისება თემის ინტერესებისა და სურვილების საწინააღმდეგოდ ხდება. ასეთი

[48] Michael Clark and Nolundi Luwaya, დასახელებული ნაშრომი, p. 24.

[49] WHAT RIGHTS? A Comparative Analysis of Developing Countries' National Legislation on Community and Indigenous Peoples' Forest Tenure Rights, Rights and Resources Initiative, 2012, p. 19, ხელმისაწვდომია: https://rightsandresources.org/wp-content/exported-pdf/whatrightsnovember13final.pdf

[50] იქვე.

პრაქტიკები, ძირითადად, მიწაზე უფლების მქონე სუბიექტების დამახინჯებულ და კერძო ინტერესების სასარგებლო ინტერპრეტაციებს ეფუძნება.[51]

ამდენად, სათემო საკუთრების გაუსხვისებლობის დათქმა ორ პრინციპს ეფუძნება: პირველი, ის წინააღმდეგობაში მოდის ტრადიციული მიწათსარგებლობის და ადგილობრივებთან მისი მჭიდრო კავშირის იდეასთან; მეორე, თემსა და იმ პირებს შორის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ადგილობრივი მიწების ათვისებით (ელიტები, კორპორაციები), ყოველთვის არსებობს ძალაუფლებრივი დისბალანსი, რაც ატარებს ადგილობრივი თემის შეცდომაში შეყვანის, მანიპულაციისა და მათი უფლებების იძულებითი დათმობის მაღალ რისკს.[52] ეს ძალაუფლებრივი დისბალანსი გამომდინარეობს სამართლებრივი ცოდნების, პოლიტიკური შესაძლებლობებისა და ეკონომიკური რესურსების არათანაბარი განაწილებიდან. აღნიშნული გარემოებების პირობებში, გაუსხვისებლობის დათქმა მოქმედებს, როგორც სათემო მიწათსარგებლობის რეჟიმის მდგრადობის სამართლებრივი გარანტია *de jure* და *de facto* საფრთხეებისგან.[53]

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სათემო საკუთრების ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა ტყე და წყლის რესურსები, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, ისიც მკაცრი შეზღუდვებით ექვემდებარება გასხვისებას ან იჯარით გადაცემას. დანარჩენ შემთხვევაში, თუნდაც მიწათსარგებლობის რეჟიმად დადგენილი იყოს სათემო საკუთრება, მისი გასხვისება და იჯარით გადაცემა აკრძალულია.[54]

დეცენტრალიზაცია: თემი, როგორც ადმინისტრაციული მმართველობის პირველი რგოლი

დეცენტრალიზაციის მოდელი გულისხმობს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენცია მიწათსარგებლობის თაობაზე, ადგილობრივ დონეზე უნდა გადავიდეს. ამ მოდელში, მიწაზე საკუთრების უფლება სახელმწიფოს ხელშია, მაგრამ თემი და მისი წარმომადგენლები აკონტროლებენ და არეგულირებენ მას. ბევრ შემთხვევაში, ცენტრალური ხელისუფლება იმუშავებს დოკუმენტებსა და სახელმძღვანელოებს, რომლებიც ადგილობრივ დონეზე იმპლემენტირდება და ადგილობრივი მახასიათებლების მიხედვით მოდიფიცირდება, ცენტრალური ხელისუფლება კი საზედამხედველო როლს ინარჩუნებს.[55]

---

[51] იქვე.
[52] იქვე, p. 20.
[53] იქვე.
[54] იქვე, p. 30.
[55] Ross Andrew Clarke, SECURING COMMUNAL LAND RIGHTS TO ACHIEVE SUSTAINABLE DEVELOPMENT IN SUB-SAHARAN AFRICA: CRITICAL ANALYSIS AND POLICY IMPLICATIONS, 2009, p. 138, ხელმისაწვდომია: http://www.lead-journal.org/content/09130.pdf

დეცენტრალიზაციის მოდელში, თემის ინტერესებისა და უფლებების დაცვის კუთხით, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებებს, თუ როგორ ხდება თემის წარმომადგენლების შერჩევა; რა კავშირები და ურთიერთმიმართება აქვს სათემო ორგანიზაციებს თემის ტრადიციულ ლიდერებთან; როგორაა გამიჯნული პასუხისმგებლობები სათემო ინსტიტუტებსა და ადმინისტრაციული იერარქიის მაღალ საფეხურზე მყოფ ორგანოებს შორის; ანგარიშვალდებულების როგორი მექანიზმები არსებობს და სხვა.[56]

ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის მოდელი მაშინ მუშაობს გამართულად, როცა მიწის მართვის სტრატეგიები და უფლებამოსილებები სათანადო ფორმითა და გარანტიებით არის გადაცემული ადგილობრივ დონეზე.[57] სახელმწიფომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის აზრი, რომ მიწის რესურსებით სარგებლობის ტრადიციული სისტემები დროში კარგად ნაცადია და ხშირად ყველაზე უკეთ ერგება ადგილობრივი თემის ინტერესებს.

მიწის დამცველის მოდელი

მიწის დამცველის მოდელში მიწაზე და მის რესურსებზე საკუთრებას სახელმწიფო ფლობს, ადგილობრივი თემი კი, როგორც ერთობა, წარმოდგენილია ერთგვარი „მცველის“ სახით, რომელსაც მინიჭებული აქვს მიწის მართვის უფლება. ამ დროს, თემს, როგორც წესი, აქვს მიწით სარგებლობისგან სხვების გამორიცხვისა და მიწაზე დაშვების, მისი მოხმარების წესების შემუშავების უფლებამოსილება.[58]

ამ მოდელის კონცეფცია უფრო თვალსაჩინოდ წარმოჩინდება, როცა მისი განხილვა ხდება ტრადიციულ, ჩვეულებით სამართლებრივ კონტექსტში და არა საკუთრებისა და მფლობელობის დასავლური პერსპექტივებიდან. მიუხედავად იმისა, რომ გენერალიზაცია და უნივერსალიზაცია შესაძლოა ზუსტად არ ასახავდეს სხვადასხვა ადგილებსა და ხალხებში დამკვიდრებულ მიდგომებს, სათემო მიწათსარგებლობა მაინც იმ ზოგად პრინციპს ეყრდნობა, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მიწის კუთვნილებას, არამედ მის მართვასა და შენარჩუნებას შემდგომი თაობებისთვის. ამ გაგებით, მიწის გამოყენების და მოხმარების უფლება შეზღუდულია იმ დოზით, რომ მან არ გამოიწვიოს ისეთი გამოუსწორებელი ზიანი, რაც გამორიცხავს მისით სამომავლო სარგებლობას.[59] არსებითად, მიწასა და მის რესურსებთან ასეთი კავშირი თაობათაშორისი სამართლიანობის გამომხატველია და უფრო მეტად აკეთებს აქცენტს მიწის მმართველების პასუხისმგებლობაზე, განსხვავებით დასავლური მიდგომებისგან, რომლებიც უმთავრესად უფლებების ნაწილზე ფოკუსირდებიან.[60]

---

[56] იქვე.
[57] იქვე, p. 139.
[58] იქვე.
[59] იქვე.
[60] იქვე.

მიწის დამცველის მოდელი თავის მხრივ გაკრიტიკებულია მიწასა და რესურსებზე სრული კონტროლის არარსებობის გამო. ეს კრიტიკა უმთავრესად მკვიდრი მოსახლეობების ჭრილიდან განიხილება და მსჯელობაში შემოდის ისეთი საკითხებიც, როგორიცაა რესურსების გარე აქტორების მიერ მოხმარებისას პირდაპირი და სათანადო სარგებლის მიღების გარანტიები.[61]

თანამმართველობის მოდელი

თანამმართველობის მოდელი გარკვეულწილად მსგავსია მიწის დამცველის მოდელის, თუმცა ძირითადად ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება. თანამმართველობა, როგორც წესი, მოიცავს შეთანხმებებს ადგილობრივ მოსახლეობას, დაინტერესებულ მხარეებსა და სახელმწიფოს შორის, რესურსებზე წვდომისა და მისი მოხმარების თაობაზე.[62] ამ მოდელის მომხრეები მიუთითებენ, რომ მისი მეშვეობით, ერთი მხრივ შეიძლება დაბალანსდეს ეფექტიანობისა და სამართლიანობის სახელმწიფო ინტერესები, ხოლო მეორე მხრივ, ადგილობრივთა ინტერესები თვითმართველობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის თაობაზე. თანამმართველობის მოდელის მთავარი ამოცანა ჩართულობისა და შეთანხმების მიღწევაა ადგილობრივი თემისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. აქ წინა პლანზე გამოდის ხელშეკრულების საფუძველზე თემის მიერ მიწის მართვის უფლება და არა საკუთრების აღიარება.[63]

თანამმართველობის მოდელის მთავარი კრიტიკა მიემართება იმას, რომ ხელშეკრულებაზე დაფუძნებული გარანტიები არაა გრძელვადიან მიზნებზე გათვლილი და ადვილად დარღვევადია.[64] ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოდელი მოქნილობისა და ეფექტიანობის საკმაოდ კარგ შესაძლებლობებს იძლევა, ის შეიძლება ატარებდეს ადგილობრივი თემის ინტერესების დარღვევის მომეტებულ რისკს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მოდელებისა და მიდგომებისა, თითოეულ სახელმწიფოში, ადგილობრივი კონტექსტების გათვალისწინებით, სათემო მიწათსარგებლობის სპეციფიკური რეჟიმები არსებობს.[65] არც ერთი მოდელი, ცხადია, არ არის სრულყოფილი და უნივერსალური. თითოეულ მათგანს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ის, თუ როგორ რეჟიმზე და მიდგომაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი, ადგილობრშივი კონტექსტისა და გამოწვევების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს. თუმცა, აქ მნიშნელოვანი გარემოება ის არის, რომ ყველა შემთხვევაში ადგილობრივთა ინტერესების დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

---

[61] იქვე.
[62] იქვე.
[63] იქვე.
[64] იქვე.
[65] WHAT RIGHTS? A Comparative Analysis of Developing Countries' National Legislation on Community and Indigenous Peoples' Forest Tenure Rights, Rights and Resources Initiative, 2012, p. 26.

„წყლის ფლობა“ და „წყალზე უფლების ფლობა“

წყალი განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსია. თანამედროვეობაში მზარდი ტენდენციაა წყალზე ხელმისაწვდომობის უფლების სამართლებრივი აღიარება და გარანტიების შექმნა, რაც სახელმწიფოს სოციალური ვალდებულებების აუცილებელ კომპონენტად უნდა მოვიაზროთ. წყალთან დაკავშირებული უფლებები ერთი მხრივ გულისხმობს ბაზისური საჭიროებებისთვის, ცხოვრებისა და ღირსებისთვის შესაფერის წყალზე წვდომას,[66] ხოლო მეორე მხრივ, რესურსების იმგვარ აღიარებასა და გამოყენებას, რომელიც, მაქსიმალურად უზრუნველყოფს წყალზე საყოველთაო ხელმისაწვდომობას, მის მართვასა და ხარისხს.[67] ჰიდროსოციალური გამოწვევების ფონზე, „უფლება წყალზე“ დამატებით შრეებს იძენს და უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა, ეკოლოგია, წყლის გამოყენება ირიგაციისთვის და ზოგადად სოფლის მეურნეობისთვის, კლიმატის ცვლილება, დაბინძურება და სხვა.[68] მიუხედავად იმისა, რომ უფლებების ენა უმთავრესად მიემართება სახელმწიფოს და მის ვალდებულებებს, უზრუნველყოს წყლის სამართლიანი მართვა და მასზე საყოველთაო ხელმისაწვდომობა, ის არ გულისხმობს წყლის მართვის კონტექსტში ადგილობრივი თემის განსაკუთრებული როლის გამორიცხვას. პირიქით, უფლებების ენა მკვეთრ აქცენტს აკეთებს თემისა და თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციაზე, განახორციელონ წყლის მართვისა და მოხმარების ადგილობრივი, კოლექტიური პრაქტიკები.[69]

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საერთაშორისო მიდგომები წყლის რესურსების მართვისა და მოხმარების კოლექტიურ ბუნებაზე და ამდენად, კერძო, საბაზრო ინტერესებისგან მის დაცვაზე ფოკუსირდებიან. ამის გამო, სათემო მიწათსარგებლობის კონტექსტში წყლის რესურსებზე წვდომის აღიარება დიდ მნიშვნელობას იძენს. წყლის რესურსები უმრავლეს შემთხვევაში ითვლება „მიუკუთვნებელ“ ან სახელმწიფო საკუთრებად.[70] მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივი რეჟიმია სათემო მიწათსარგებლობისთვის დადგენილი, ის ყოველთვის მოიცავს ადგილობრივთა უფლებებს, საკუთარი ტრადიციების, ჩვეულებების, კულტურული და სოციალური პრაქტიკების შესაბამისად განახორციელონ წყლის კოლექტიური მართვა-სარგებლობა.

---

[66] Oriol Mirosa, Leila M. Harris, Human Right to Water: Contemporary Challenges and Contours of a Global Debate, Antipode Vol. 44 No. 3, 2012, p. 945, ხელმისაწვდომია: https://oriolmirosa.com/files/mirosa-harris-2012.pdf

[67] თორნიკე გერლიანი, არაღიარებული ომის მიგრანტები, ანუ ვინ და როგორ იბრძვის ჰესების წინააღმდეგ, 2019, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/ka/products/araghiarebuli-omis-migrantebi-anu-vin-da-rogor-ibrdzvis-hesebis-tsinaaghmdeg

[68] იქვე.

[69] Oriol Mirosa, Leila M. Harris, Human Right to Water: Contemporary Challenges and Contours of a Global Debate, p. 946.

[70] Liz Alden Wily, Fabrice Dubertret and others, Water Rights on Community Lands: LandMark's Findings from 100 Countries, 2017, p. 8, ხელმისაწვდომია: https://www.mdpi.com/2073-445X/6/4/77

მთავარი გარემოება ამ საკითხში ის არის, რომ სახელმწიფო რეგულაციები და მიდგომები მიმართულია იმისკენ, რომ არ მოხდეს წყლის რესურსების გასაქონლება, კომერციალიზაცია და კერძო სარგებლობაში მოქცევა. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ იმ ქვეყნებშიც კი, სადაც მიწათსარგებლობის რეჟიმად სათემო საკუთრებაა დადგენილი, თითქმის ყველა შემთხვევაში აკრძალულია წყლის რესურსების გასხვისება, ან ის მკაცრად ლიმიტირებულია და ვრცელდება ძირითადად არაგამდინარე წყლებზე.[71]

როგორც აღინიშნა, ზემოთქმული გარემოება არ ნიშნავს იმას, რომ ადგილობრივი მოსახლეობები გამორიცხულნი არიან წყლის რესურსების მართვისა და მოხმარებისგან. პირიქით, წყლის მართვა სათემო მიწათსარგებლობის ცენტრალური ელემენტია. ამ კონტექსტში ყველაზე გავრცელებული რეჟიმია წყლის რესურსების სახელმწიფო ან ეროვნულ საკუთრებად აღიარება, სადაც ადგილობრივი თემი მიჩნეულია მიწაზე და წყალზე უფლებების კანონიერ მფლობელად.[72] ამგვარი მაგალითები არსებობს სომხეთში, მექსიკაში, პერუში, ვიეტნამში და სხვა.[73] ამდენად, ეს მიდგომა აღიარებს თემის მხრიდან რესურსებზე უფლების ქონას და არა თავად რესურსების მესაკუთრეობას.[74] მსგავსი მიდგომით წყლის მართვისა და მოხმარების უფლებამოსილება შეიძლება გადაეცეს კოლექტივებს (მაგ.: ჩინეთში), ფერმერულ კოოპერატივებს (მაგ.: კუბაში) ან თვითმმართველ სათემო ორგანოებს (მაგ.: ყირგიზეთში, მონღოლეთში და სხვა).[75]

მიუხედავად იმისა, რომ წყალი შეიძლება ითვლებოდეს „მიუკუთვნებელ“ ან სახელმწიფო საკუთრებად, თემისთვის მასზე უფლებების არსებითი და საფუძვლიანი აღიარება ხშირად აუბრალოებს განსხვავებებს *წყლის ფლობასა* და *წყალზე უფლებების ფლობას* შორის. შესაბამისად, გადამწყვეტი ის გარემოება კი არაა, თუ რომელი სამართლებრივი რეჟიმის ქვეშ იქნება მოქცეული წყლის მართვისა და სარგებლობის უფლება, არამედ რა გარანტიები იქნება უზრუნველყოფილი თემისთვის და როგორ იქნება გათვალისწინებული მათი ინტერესები.

წყლის რესურსებზე თემის უფლებების აღიარება სხვადსხვა ქვეყანაში განსხვავებული გზებით ხორციელდება. საქართველო ერთ-ერთ იმ მცირე ქვეყნების ჯგუფში მოიაზრება, სადაც წყლის რესურსებზე თემის უფლებების აღიარება განსაკუთრებით სუსტია ან საერთოდ არ არსებობს.[76] საქართველოში მიწისა და წყლის სათემო მმართველობის ფორმებს ღრმა ისტორიული წარსული აქვს და კარგად იყო

[71] იქვე, p. 9.
[72] იქვე, p. 5.
[73] იქვე.
[74] იქვე.
[75] იქვე.
[76] იქვე, p. 4.

ფესვგადგმული საბჭოთამდელ და საბჭოთა საქართველოში.[77] თუმცა, დღესდღეობით, სახელმწიფო არაფერს აკეთებს კონკრეტულ ტერიტორიასთან ადგილობრივების უწყვეტი ისტორიული და კულტურული კავშირებით განპირობებული უფლებებისა და ინტერესების დაცვისა და აღიარებისთვის.

საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკა

სხვადასხვა საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკაში არსებობს მრავალი მაგალითი, სადაც სათემო მიწათსარგებლობიდან გამომდინარე უფლებებსა და ინტერესებზეა ხაზგასმა. ამ კონტექსტში საინტერესოა რამდენიმე მაგალითის განხილვა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2004 წელს განიხილა საქმე ("Dogan and others v. Turkey"), სადაც ყურადღება გამახვილდა იმ საკითხზე, რამდენად იცავს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი (საკუთრების უფლება)[78] მიწაზე უფლებებს მაშინ, როცა ეს საკუთრების ფორმით არაა წარმოდგენილი. სასამართლომ მიუთითა, რომ საკუთრების სამართლებრივი აღიარების არარსებობის მიუხედავად, მოსარჩელეები ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ მათი წინაპრების მიწაზე, ჰქონდათ უფლებები სოფლის საერთო მიწებზე, იყენებდნენ მას მესაქონლეობისთვის და ტყის ჭრისთვის. სასამართლოს შეფასებით, ეს ეკონომიკური რესურსები და სარგებლის მიღების წყაროები, დაცულია დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით. ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეები სარგებლობდნენ მათი მიწის მართვისა და სარგებლობის უფლებით.[79]

ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს პრაქტიკაში ბევრი მაგალითი მოიძებნება, სადაც სახელმწიფოები გამტყუნდნენ მკვიდრი მოსახლეობების სათემო მიწათსარგებლობის აღიარებისთვის ქმედითი ნაბიჯების გადაუდგმელობის, მათი მიწების ექსპლუატაციისა და მესამე პირებზე გადაცემის, მიწებისა და საკვების მოპოვების გზების განადგურების, თემთან საფუძვლიანი კონსულტაციებისა და თანხმობის არარსებობის გამო (იხ. მაგალითად: Maya indigenous community of the Toledo District v. Belize, 2004;[80] Case of the Mayagna (Sumo) Awas Tingni Community v. Nicaragua, 2001;[81] Case of the Indigenous Community Yakye Axa v. Paraguay, 2005).[82] თუმცა, არსებობს მაგალითები, როცა სასამართლომ განიხილა ისეთი ჯგუფების საქმეებიც, რომელთაც

---

[77] იქვე, p. 6.
[78] იხ.: https://www.echr.coe.int/Documents/Convention_KAT.pdf
[79] Land and Human Rights, Annotated Compilation of Case Law, 2015, p. 36, ხელმისაწვდომია: https://www.ohchr.org/Documents/Publications/Land_HR-CaseLaw.pdf
[80] იქვე, pp. 45-47.
[81] იქვე, pp. 48-49.
[82] იქვე, pp. 52-54.

მკვიდრი მოსახლეობების სტატუსი არ ქონდათ. ასეთ საქმეებში, სასამართლო ავრცელებდა მკვიდრი მოსახლეობისთვის გათვალისწინებულ უფლებებსა და გარანტიებს არამკვიდრ მოსახლეობაზეც.

კერძოდ, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა სასამართლომ განიხილა Moiwana-ის თემის სარჩელი (Case of the Moiwana Community v. Suriname, 2005).[83] ეს თემი ფლობდა და მართავდა მიწას ტრადიციული, ჩვეულებაზე დაფუძნებული მეთოდებით. ისინი 1986 წელს სახელმწიფომ იძულებით აყარა საკუთარი მიწებიდან. სასამართლომ მკვიდრ მოსახლეობასთან დაკავშირებული ნორმები ასევე გაავრცელა ამ შემთხვევაზეც „ადათობრივი პრაქტიკების საფუძველზე წინაპრების მიწების სათემო მფლობელობისა და მართვის არგუმენტით."[84] ასევე, სასამართლო დაეყრდნო არა სათემო საკუთრების უფლებას, არამედ თემის მხრიდან მიწის ფაქტობრივად, ტრადიციული გზით ფლობას.[85]

სასამართლომ ასევე განიხილა Saramaka-ის თემის სარჩელი (Case of the Saramaka People v. Suriname, 2007), რომელიც შეეხებოდა მკვიდრი მოსახლეობის სტატუსის არმქონე თემის უფლებებს ჰესის მშენებლობასთან კონტექსტში. თემი, რომელიც კონკრეტულ ტერიტორიას ტრადიციულად ფლობდა და მართავდა, ჰესის მშენებლობის გამო იძულებული გახდა ტერიტორია დაეტოვებინა.[86] სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფომ არ მიიღო ქმედითი ზომები ტრადიციულად დაკავებულ მიწაზე თემის უფლებების აღიარებისთვის.[87] გარდა ამისა, სახელმწიფომ არ უზრუნველყო სამართლებრივი ბერკეტების არსებობა ზიანის თავიდან ასაცილებლად და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა მათი ფუნდამენტური უფლებების დასაცავად. ერთ-ერთი მთავარ პრობლემად გამოიკვეთა ის გარემოება, რომ არ მოხდა თემის ტრადიციების შესაბამისად მიწის ფლობის სამართლებრივი აღიარება.[88]

Moiwana-ის საქმის მსგავსად, სასამართლომ ამ შემთხვევაშიც გაავრცელა მკვიდრი მოსახლეობისთვის დადგენილი ნორმები არამკვიდრ მოსახლეობაზე. სასამართლომ მიუთითა, რომ ამ თემსაც ჰქონდა მკვიდრი მოსახლეობის მსგავსი მახასიათებლები, როგორიცაა სხვებისგან განსხვავებული სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ტრადიციები; ისინი საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენდნენ წინაპრების ტერიტორიებთან, მათი ცხოვრება კი ნაწილობრივ რეგულირდებოდა ადგილობრივი ნორმებით, ჩვეულებებითა და ტრადიციებით.[89] გარდა ამისა, Saramaka-ის ხალხს ჰქონდა განსაკუთრებული კავშირი მიწასთან და მოქმედებდა სათემო მიწათსარგებლობის პრინციპების საფუძველზე. ამდენად, ისინი დაცულნი უნდა იყვნენ არა მხოლოდ

[83] იქვე, p. 50.
[84] იქვე.
[85] იქვე.
[86] იქვე, p. 57.
[87] იქვე.
[88] იქვე.
[89] იქვე.

ფლობის, არამედ მიწისა და მისი რესურსების სარგებლობის უფლებით, მათი ტრადიციული პრაქტიკების შესაბამისად.[90]

დასკვნა

სათემო მიწათსარგებლობის აღიარებას და დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების მიხედვით, როგორც თემის სოციალური და კულტურული მდგრადობის, ტრადიციებისა და ცხოვრების წესის შენარჩუნების გამორჩეულ ნიშანს.

დომინანტური განვითარების მოდელებისა და დისკურსების მხრიდან სათემო მიწათსარგებლობა საუკუნეების განმავლობაში მარგინალიზებული და უარყოფილი იყო. ჩვეულებრივ, ის წარმოჩინდებოდა, როგორც საერთო საზოგადოებრივი განვითრების და ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი გარემოება. სამართლებრივი აღიარებისა და ფორმალიზაციის საკითხიც, რომელიც თანდათანობით დღის წესრიგში დგებოდა, ხშირად იმ ფორმით ხორციელდებოდა, რომ კიდევ უფრო აზიანებდა ადგილობრივ ჯგუფებს.[91]

კოლონიზაციის პერიოდისა და მისი შემდგომი მაგალითები აფრიკის ბევრ ქვეყანაში ამის კარგი დადასტურებაა, სადაც მიწათსარგებლობის ტრადიციული გზების ფორმალიზაციამ მიწის დიდი რესურსების ცალკეული პირებისა თუ ვიწრო ჯგუფების ხელში მოქცევა, მათი მასობრივი ათვისება და ინდივიდუალიზაცია გამოიწვია, რაც, თავის მხრივ, სოციალური კონფლიქტების საფუძველი გახდა.[92] ხშირად სამართლიანად მიუთითებენ, რომ მიწათსარგებლობასთან მიმართებით სოციალური დაპირისპირებების მიზეზი ძირითადად ის არ არის, რეგისტრირებულია თუ არა კონკრეტული ტერიტორია თემისთვის. კონფლიქტს განაპირობებს კონკრეტული თემის მიერ კოლექტიურად არგაზიარებული პოზიცია, „სხვის“, როგორც ამ მიწაზე ლეგიტიმური უფლების მქონე სუბიექტის შესახებ, და ამ პოზიციის დაცვისთვის სამართლებრივი ბერკეტების არარსებობა (სახელმწიფოს მიერ მისი არაღიარება).[93]

საზოგადოდ მიღებული პოზიციაა, რომ სახელმწიფოს უმთავრესი ვალდებულებაა, აღიაროს კონკრეტულ ტერიტორიასთან ადგილობრივების უწყვეტი ისტორიული და კულტურული კავშირებიდან გამომდინარე უფლებები და პრივილეგიები. ეს არის არა

---

[90] იქვე.
[91] R. T. Abdulai, Y. A. Antwi, INSECURITY AND UNCERTAINTY OF PROPERTY RIGHTS IN TRADITIONAL LANDHOLDING INSTITUTIONS IN URBAN SUBSAHARA AFRICA: IS LAND TITLE REGISTRATION THE PANACEA?, p. 415, ხელმისაწვდომია: https://www.irbnet.de/daten/iconda/CIB16803.pdf
[92] იქვე, p. 420.
[93] იქვე.

„კეთილი ნების“ ჟესტი, არამედ სოციალური მშვიდობის, კულტურული თვითმყოფადობისა და განვითარების ადგილობრივი წესების დაცვისა და შენარჩუნებისთვის აუცილებლად გადასადგმელი ნაბიჯი. აღნიშნული გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებიდანაც.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სათემო მიწათსარგებლობის სამართლებრივი აღიარების განსხვავებული ფორმები და რეჟიმები მოქმედებს, იქნება ეს სათემო საკუთრება, დეცენტრალიზაცია თუ უფლებამოსილებების სხვა ფორმებით დელეგირება. ცხადია, არც ერთი მოდელი არ არის სრულყოფილი და თითოეულ მათგანს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, პოტენციური რისკები. თუმცა, ზოგადად მიჩნეულია, რომ სათემო მიწათსარგებლობის მოდელი, რომელიც თემის ინტერესებს ითვალისწინებს, უნდა ეყრდნობოდეს დეცენტრალიზაციის, თემის ჩართულობისა და ძალაუფლებით მისი აღჭურვის ელემენტებს.[94]

ის, თუ რომელ მოდელზე უნდა გაკეთდეს აქცენტი საქართველოში, შემდგომი მსჯელობების საგანი უნდა იყოს და ითვალისწინებდეს ადგილობრივ კონტექსტს, ისტორიულ, სოციალურ და კულტურულ მახასიათებლებს, პოტენციურ რისკებსა და შედეგებს. თუმცა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სამართლებრივი აღიარების ნებისმიერი ფაქტის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ორი გარემოება: პირველი, ადგილობრივი თემის ინტერესები, მათი ცხოვრების წესის, ტრადიციების პატივისცემის მომენტი და სოციალური მშვიდობის მიღწევის მცდელობები; მეორე, ადგილობრივი თემისთვის მიწების ნებისმიერი ფორმით აღიარების (მათ შორის, თუნდაც სათემო საკუთრების გზით) პარალელურად, სახელმწიფომ უნდა შექმნას მყარი გარანტიები, რომ შესაბამისი ბუნებრივი რესურსები არ გახდება გარე აქტორების მხრიდან მასობრივი ექსპლუატაციის საგანი, არ მოხდება მისი გასაქონლება და კერძო პირების ხელში მოქცევა. წინააღმდეგ შემთხვევაში სათემო მიწათსარგებლობის იდეა სრულად გაუფასურდება.

საქართველოსთვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საერთაშორისო კონვენციების თანმიმდევრულ შესრულებასა და დეკლარაციებში გამოთქმული პრინციპების ადგილობრივ კანონმდებლობაში დანერგვას, რომლებიც სათემო მიწათსარგებლობის და ადგილობრივი თემის ინტერესების დაცვისთვის მნიშვნელოვან საფუძველს ქმნიან. ამ კონტექსტში, პირველ რიგში, უნდა დასახელდეს დეკლარაცია „გლეხებისა და სასოფლო არეალებში მომუშავე სხვა ხალხების უფლებების შესახებ“ და კონვენცია „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ.“

თანამედროვე მსოფლიო დგას სოციო-ეკონომიკური უთანასწორობების, მიწის რესურსების უსამართლო გადანაწილების და მასობრივი ექსპლუატაციის, ვიწრო ჯგუფების ხელში მისი კონცენტრაციისა და საგარეო ბაზრებზე გატანის,

[94] Ross Andrew Clarke, დასახელებული ნაშრომი, p. 140.

ნეოლიბერალური პოლიტიკებისა და დერეგულირებული ბაზრის პირისპირ.[95] ეს ყველაფერი ანგრევს და აუფასურებს დემოკრატიულ და სოციალური შეჭიდულობის პროცესებს, გრძელვადიან პერსპექტივაში კი აფერხებს ეკონომიკურ ზრდას.[96] ამ პროცესში სათემო მიწათსარგებლობის ფორმების აღიარება, დაცვა და მოფრთხილება, შეიძლება დაისახოს, როგორც სისტემური უსამართლობების საპირწონე და მისი შემაკავებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი.

[95] Eduardo von Bennewitz, დასახელებული ნაშრომი, p. 1797.
[96] იქვე.